

ლახინე სვანიძე

უნებლიობა ქართულში

უნებლიობა გადმოსცემს ისეთ მოქმედებას, რომელიც რეალურმა სუბიექტმა, მოქმედების რეალურმა ჩამდგნმა შეასრულა უნებლიეთ. წინასწარ განუსაზღვრელად, შემთხვევით, ისე, რომ მას ამის გაკეთება არ სურდა უნებლიობა და უნებლიობის გამომხატველი ზმნები ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვანაირადაა კვალიფიცირებული. უნებლიობის საკითხს სპეციალური სტატია მიუძღვნა ალ. ფოცხიშვილმა მკვლევარი თვლის, რომ უნებლიობა ლექსიკურ-გრამატიკული კატეგორიაა და მას გვარის კატეგორიის შემდეგ განიხილავს. „შემო“ ზმნისწინს კი უნებლიობის მაწარმოებელ ნიშნად მიიჩნევს (ალ. ფოცხიშვილი, 1969). ალ. ფოცხიშვილის შეხედულებებს არ იზიარებს აკ. შანიძე, რომელმაც უნებლიობა და უნებლიობის გამომხატველი ზმნები გააანალიზა სტატიაში „უნებლიობის კატეგორია თუ უნებლიობის ვნებითი?“ მას უნებლიობა არ მიაჩნია კატეგორიად; უნებლიობას გადმოსცემს მხოლოდ დინამიკური ვნებითები; უნებლიობის გამომხატველი ზმნები უნდა განიხილებოდეს გუნების, მიჩნევის, შესაძლებლობის ვნებითების პარალელურად (ა. შანიძე, 1981).

უნებლიობას ქართულში გადმოსცემენ შემდეგი ზმნები: შემომაკვდა, შემომატყდა, შემომეჭამა, შემომელანძღა, შემომეხარჯა, შემომეფლანგა, შემომემსხვრა, შემომელახა, შემომემტვრა (მე ის). მაგ.:

- ქურდს დიასახლისი შემოაკვდა (მას ის)
- მეომარს ხმალი ხელში შემოატყდა
- მასწავლებელს მშობელი შემოელანძღა

დასახელებული ზმნები ინვერსიულ ზმნათა გვერდით უნდა განვიხილოთ. რადგან რეალური სუბიექტი მიცემითშია და იგი გადმოსცემულია ობიექტის შინაშით, ხოლო ობიექტი - სუბიექტისა შინაშით. ამგვარი ზმნების ყალიბი ასეთია: შემო + მ + ე (ა) + ფუძე + ა.

„შემოატყდა“ ტიპის ზმნები ა/ე ხმოვანპრეფიქსებითაა გაფორმებული. ა ხმოვანიცა და ე-ც ორივე უფუნქციოა ალ. ფოცხიშვილი შემომაკვდა. შემომატყდა ზმნების პარალელურად ასახელებს შემომაგჯა, შემომაკვდა ზმნებსაც. ჩვენი აზრით, ამგვარი ზმნები ვერ გადმოსცემენ უნებლიობის ისეთივე შინაარსს, როგორსაც „შემომაკვდა“ ზმნა. მაგ.: ქანცგაწყვეტილი შრომის შედეგად ტანზე ტანისამოსი ისე შემომაკვდა (შემომაგჯა). ვერც გავიგე წინადადებაში წარმოდგენილი ზმნების რეალური სუბიექტი (თუმცა პასიური) „ტანისამოსია“ და ამ პირის რაიმე ნება-სურვილსა თუ გადაწყვეტილებაზე საუბარიც კი ზედმეტია, ისინი ტიპური გარდაუვალი ზმნებია და მათთან დაკავშირებულ სახელთა კონსტრუქციები ზუსტად ისეთივეა, როგორიც გარდაუვალ ზმნათა კონსტრუქციები - სუბიექტი სახელობითშია, ირიბი ობიექტი მიცემითში (ის მე). ალ. ფოცხიშვილი ასევე თვლის, რომ „შემომაკვდა“ ზმნაში „მე, რეალურ სუბიექტს, არ მქონდა სურვილი, გადაწყვეტილება კაცის მოკლი მოქმედება მოხდა ჩემი ნება-სურვილის გარეშე, მოქმედების გამომწვევი მიზეზი რეალურ ობიექტში - მოკლულში უნდა ვეძიოთ“ (ალ. ფოცხიშვილი, 1969, გვ. 152-155). „შემომაკვდა“ (მან მე ის) ზმნა სამპირიანია. ამიტომ აკ. შანიძე

კატეგორიულად უარყოფს უნებლიობის შინაარსის ძიებას გარდამავალ ზმნებში და წერს: „არ შეიძლება, რომ გარდამავალ ზმნას უნებლიე მოქმედების გადმოცემის ძალა ჰქონდეს. ეგრე რომ იყოს საქმის ვითარება, მაშინ გარდამავალი ზმნის ყოველგვარ სამპირიან ფორმას, რომელშიც ირიბი ობიექტის პირიც შედის, ექნებოდა ძალა უნებლიობის გაგების გამოხატვისა... მოქმედებითი გვარის ზმნათა ფორმები უნდა სავსებით გამოვრიცხოთ ამ საკითხის კვლევისას“ (ა. შანიძე, 1981, გვ. 139-143). „შემომაკლა“ ზმნა სამპირიანი აქტივია, რომელშიც „მან“ სუბიექტური პირს გაუჩნდა „ის“ პირდაპირი ობიექტური პირის მოკვლის სურვილი და ამას მიაღწია კიდევ ირიბი ობიექტური პირის გამოყენებით. ვფიქრობთ, არც პირთა კონსტრუქციითა და არც შინაარსით „შემომაკლა“ (მან მე ის) და „შემომაკვდა“, „შემომელანძლა“ (მე ის) ტიპის ზმნების ერთ სიბრტყეზე განფენა არ შეიძლება.

მართალია, „შემო“ ზმნისწინის გარეშე აღნიშნული ზმნები ვერ გამოხატავენ უნებლიობას: შემომეჭამა - მეჭამა; შემომეხარჯა - მეხარჯა; შემომეფლანგა - მეფლანგა..., თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ „შემო“ ზმნისწინი უნებლიობის მაწარმოებლად მივიჩნიოთ. იგი არ არის მაწარმოებელი, იგი მხოლოდ უნებლიე შინაარსის მატარებელია, დაუგეგმავი მოქმედების ნიუანსის გამომხატველია. ამას ადასტურებს: ა) ზმნისწინების უნარი ზმნის მნიშვნელობის ცვლისა (დაკლა\წაკლა\მოკლა; აღზარდა\გაზარდა; გააწითლა\შეაწითლა...); ბ) „შემო“ ზმნისწინს სხვა ზმნებიც დაირთავენ, მაგრამ უნებლიობის შინაარს ვერ ატარებენ, ასე მაგალითად: შემომელია, შემომერია, შემომედავა, შემომეყარა, შემომეგება, შემომეფეთა, შემომეძგერა, შემომაკვდა, შემომალამდა, შემომათენდა...

დაიძებნება ასევე: შემომეკრიფა (ოცნებებში ისე გავერთე, რომ ატამი შემომეკრიფა), შემომეთალა (საუბარში კარტოფილი შემომეთალა), შემომეჭრა, შემომეფშვნა (მე ის) ზმნები, რომლებიც ფორმით მოქმედებითი გვარის II თურმეობითის ფორმებს წააგავს (ვთლი-შემოვთლი-შემოვთალე-შემომითლია-შემომეთალა; ვკრეფ-შემოვკრეფ-შემოვკრიფე-შემომიკრეფია-შემომეკრიფა...), ამიტომ ამ ტიპის ზმნების ანალიზისას მნიშვნელოვანია ფრაზის კონტექსტი, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ყოველდღიურ მეტყველებაში „შემო“ ზმნისწინიანი II თურმეობითის აქტივები თითქმის არ არსებობს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ დასახელებული ზმნები შინაარსით უნებლიობას გამოხატავენ და ისინი უნებლიობის გამომხატველი ზმნების გვერდით უნდა განვიხილოთ.

ჩვენ გავაანალიზეთ XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა თხზულებები უნებლიობის გამომხატველ ზმნათა გამოყენების თვალსაზრისით და მათში „შემომაკვდა“ ტიპის ზმნები ვერ დავადასტურეთ ერთი გამონაკლისის გარდა: შერმადინს ლხინით შემოეჭამა წუთისოფელი (გ. ლეონიძე, 1990, გვ. 78). ამგვარი ზმნები შედარებით ინტენსიურად მოიხმარება ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებაში:

- ბიჭო, თავი გამანებე, თვარა შემომაკვდები!
- მინდოდა ფული დამეზოგა, მაგრამ მაინც შემომეხარჯა!
- უჭკუო ხარ და ფულიც შემოგეფლანგა!
- ისე მშვიოდა, მთელი სუფრა შემომეჭამა!
- დაადუმეთ ეს კაცი, თორემ შემომელახება!
- მისი უზრდევლობის ამბავი ყველამ გაიგო მამამისის გარდა. საწყალ

დედამისს არ უნდოდა, მაგრამ ისე შემოელახა, რომ ძლივს გამოვგლიჯო ხელიდან.

- შემოგელანძლება და შარს მოგდებს!
- არ მინდა, შემომეკმეება და გამასუქებს!
- სესხი ბანკიდან ავიღე და ისე შემომეჭამა, ვერც გავიგე!
- ძალიან გემრიელი გამოგივიდა, არ მინდა, მაგრამ, მე მგონი, მაინც შემომეკმეება!
- სწრაფად გამომართვი, შემომეფშვნება ხელში!
- ასე უთხარი, ენა დაიდუმოს, თვარა ისე შემომელახება, ვერ იცნობენ!
- უყურადღებობის გამო ჯერ ერთი შემოვმტვრა, მერე კი დანარჩენები შემოვმსხვრა, ამან მისიანები მთლად გადარია და გვარიანადაც შემოვლანძლათ.

ასეთი სხვაობა სამწერლობო და სასახუბრო ენას შორის იმითაა განპირობებული, რომ ზეპირ მეტყველებაში აშკარად შეიმჩნევა თავისუფლება. რასაც, თავის მხრივ, სხვადასხვაგვარი ფორმების წარმოება (არაბუნებრივიც). სახელებისაგან ზმნების მიღების თითქმის ყოველგვარი საშუალებების გამოყენება განაპირობებს, რაც ან სხვა ენების გავლენით ან ქართული სალიტერატურო ენის ნორმების არცოდნით შეიძლება აიხსნას. საკითხი ცალკე კვლევას მოითხოვს უნებლიობის მატარებელი ზმნების მრავალფეროვნებაზე ქართულში სხვა ენის გავლენა არ იგრძნობა და იგი, ვფიქრობთ, წმინდა ქართული მოვლენაა, თუმცა სამწერლობო ენაში მან ფეხი ვერ მოიკიდა.

### ლიტერატურა

- გ. ლეონიძე, 1990 - გ. ლეონიძე, ნატვრის ხე, თბ., 1990.  
 ალ. ფოცხიშვილი, 1969 - ალ. ფოცხიშვილი, უნებლიობის კატეგორია ქართულ ზმნაში: გ. ახვლედიანის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1969.  
 ა. შანიძე, 1981 - ა. შანიძე, უნებლიობის კატეგორია თუ უნებლიობის ვნებითი?: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1981, №4.

## DAPINE SVANIDZE

### ON THE MEANING OF UNWILLINGNESS IN GEORGIA

Unwillingness is expressed in Georgian with the type of verbs as: "shemomakvda", "Shemomatqda", "shemomechama", "shemomelandzgha", "Shemomekharja", "Shemomemskhvra", "Shemomelakha, shemometvra", "shemomekripa", "shemometala", "shemomechra", "shemomepshvna". With their sorms these verbs resemble to "second turmcobiti" series of active voice, and in spite of the fact that they express unwillingness to perform particular actions, or

doing it “unconsciously”, or “by chance”, they should be discussed along with the verbs they are derived from the prefix “shemo” is the form that bears meaning of “unwillingness” itself and should not be understood as derivative suffix. That is why I do not consider that there exists a grammatical category of “unwillingness” in the type of words listed-above. My argument is that the meaning of “unwillingness” is affixed only to the dynamic intransitive verbs and does not occur with transitive ones.

The analysis of the 19th-20th cc. Georgian fiction showed that authors did not use such forms. A rare exception which I came across was “shermadins lkhinit shemoechama tsutisopeli” (Shermadin has by chance eaten (= has spent) his life. It appeared that such verb forms are more often applied to in everyday colloquial speech.

The difference in the frequency of some forms in literary and oral language can be explained with the fact that modern oral Georgian enjoys more freedom of expression than those of the literary texts. On the other hand some individuals use forms that sound quite unnatural for the Georgian language. They seek to derive verbs from unnatural means and mostly from nouns, because of the influence from other languages or for the reason of lacking the knowledge of the literary standards. These can be a theme for other studies; as for meaning of “unwillingness” it is purely Georgian language phenomenon and no other influence can be responsible for this. The fact is that these verb forms have not found footing in the literary language.